დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ.
შპს თაობა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრები:
თინათინ ალავიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება
- [ ] მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა
- [x] ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- [ ] ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება
  - [ ] **გეგმიური**
  - [ ] **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს თაობა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ: **445474415**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბათუმი
იურიდიული მისამართი	შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №30ა
ფაქტობრივი მისამართი	რურუას ქ. №10
საფოსტო ინდექსი	6000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	taoba.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	schooltaoba@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	593 30 06 08/597 02 07 06

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 10 აგვისტოს № 983640 გრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს თაობაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 16 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქ.ბათუმი, რურუას ქ. №10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 10 აგვისტოს №983640 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს {თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი: თინათინ ალავიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულების შემოწმება შპს თაობაში (ს/კ: 445474415) (შემდგომში - დაწესებულება), დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 აგვისტოს. ბრძანების შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა შეფასების პროცესი განახორციელა ადგილზე ვიზიტით ქ. ბათუმში.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განხორციელდა შეხვედრა დაწესებულების პერსონალთან, განხორციელდა სკოლის ინფრასრუქტურის და მატერიალური რესურსის დათვალიერება და შეფასება. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს,

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
272	272	400

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს თაობა განვითარებაზეა ორიენტირებული. სკოლში დამკვიდრებულია მაღალი თანამშრომლობითი კულტურა და გაზიარებული პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს ერთი მხირივ ადმინისტრაციის მიერ მასწავლებელთა მხარდაჭერას, მათი საჭიროებებების და გამოწვევების სისტემატურ კვლევას (გამოკითხვები, ყოველკვირეული შეხვედრები ფსიქოლოგთან ერთად) და კვლევის შედეგების შესაბამის თანადგომას. მეორე მხრივ მასწავლებელთა ურთიერთდახმარებას და მაღალ თანამშრომლობით კულტურას, ეს გამოისახება ინტეგრორებული გაკვეთილებში, საერთო პროექტების განხორციელებაში, კათედრების ჭრილში გამოცდილების გაზიარებაში, ყოველივე ეს კი მხარდაჭერილი და წახალისებულია სკოლის მიერ შემუშავებული საბონუსე სქემით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის III სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 400	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** **(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)**
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N....		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევები

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N 3.6.3.5.	**ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**	**სკოლას მიეცა რჩევა** - ვებგვერდზე ასახოს სკოლის ხედვა, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები,, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლებას.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	**რჩევა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	
ინდიკატორი N....		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (III სტანდარტი)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

06.09.2022 წ. №01-04/18 ბრძანებით შპს თაობის დირექტორის მიერ დამტკიცებულია წესდება (შესულია ცვლილება 09.06.2023 წ. №01-04/10 ბრძანებით). ამ დოკუმენტის II თავში აღწერილია სკოლის სტრუქტურა და მართვა. სკოლის სტრუქტურა მოიცავს სკოლის დირექციას (დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის დარგში, დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში, ბუღალტერი, იურისტი საქმისმწარმოებელი), პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივ კათედრებს და დამატებით პერსონალს. გადაწყვეტილებას სკოლის სტრუქტურული ერთეულების შექმნის, ან გაუქმების შესახებ იღებს სკოლის დირექტორი. სკოლის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება წესდებით, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების დებულებებითა და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. სკოლის დამატებით პერსონალს წარმოადგენს სკოლის ბიბლიოთეკარი, სკოლის პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, IT მენეჯერი, ფსიქოლოგი, ექთანი და დამლაგებლები. დამატებითი პერსონალის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციებით. სკოლაში მკაფიოდაა განსაზღვრული სასკოლო საზოგადოების წევრების უფლება-მოვალეობები.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებში ფუნქციები გადანაწილებულია სკოლის ძირითადი მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის - საჭირო ადამიანური რესურსის ფუნქციების შესაბამისად. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომელიც სკოლის მიზნებისა და ძირითადი საქმიანობის შესრულებას უკავშირდება. სკოლის დირექტორის N01-04/18 ბრძანებით 2022 წლის 6 სექტემბერს დამტკიცებულია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის მიზნები და მოვალეობები, საქმიანობა, შეფასება, პროფესიული განვითარება.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის წესდება;
- თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

სკოლის დირექტორის N01-04/04 ბრძანებით 2023 წლის 20 მარტს დამტკიცებულია სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა. დოკუმენტი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს პერსონალის მართვის პრინციპებს, პოლიტიკას, პროცედურას და პერსონალთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს სკოლის განვითარება. განვითარების პროცესის უზრუნველსაყოფად სკოლაში გათვალისწინებულია კარიერული წინსვლის, სასკოლო საზოგადოებაში ინტეგრაციის და ინოვაციების წახალისების კომპონენტები, საზოგადოების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლა-სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესება. სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი ხელმისაწვდომი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის დირექტორის N01-04/18 ბრძანებით 2022 წლის 6 სექტემბერს დამტკიცებულია სკოლის შინაგანაწესი. შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“, საქართველოს “შრომის კოდექსის’’ და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და თანაბრად ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებზე, მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე. შინაგანაწესი თანხვედრაშია პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებებთან, სკოლის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან. სკოლა უზრუნველყოფს შინაგანაწესისა და მასში შეტანილი ცვლილებების გაცნობას სასკოლო საზოგადოებისთვის დოკუმენტის ვებ გვერდზე განთავსებით. **წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის მხარდაჭერა და მისი ეფექტიანი მართვა მოიცავს საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენციების დაგეგმვას და რეალიზებას, გაზიარებულ პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას, სკოლის ბაზაზე პრევენციული სისტემის არსებობასა და მხარდაჭერას. თვითრეგულაციის და თვითმართვის უნარების განვითარებას. **წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის 2022 წლის 09.06. N01-04/18 და 2023 წლის 17.08. N01-06/7 ბრძანებებით რეგულირდება სკოლაში მასწავლებელთა და თანამშრომელთა მიღების წესი. მასწავლებლთა მიღება ხდება კონკურსის საფუძველზე, ხოლო სხვა თანამშორმელთა მიღება ხორციელდება დირექტორის ინდივიდუალური გადაწყვეტილების საფუძველზე, სკოლის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი განცხადებების განხილვის და გასაუბრების შემდეგ.

სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარება და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოვლენა, ხდება ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით. სკოლა აცხადებს კონკურსს მასწავლებლის და სხვა თანამშრომელის ვაკანტურ ადგილზე სოციალური ქსელების, ან http://teacherjobs.ge/ საიტის მეშვეობით, სადაც აღწერილია აპლიკანტისადმი წაყენებული პირობები და სამუშაო აღწერილობა. კონკურსი მოიცავს 3 ეტაპს:

ა) განცხადებების განხილვა;

ბ) გასაუბრება;

გ) იმიტირებული გაკვეთილის ჩატარება მასწავლებლობის კანდიდატის მიერ (საჭიროების შემთხვევაში);

მასწავლებლობის კანდიდატის საკონკურსო ეტაპების წარმართვას ახორციელებს საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა მუდმივმოქმედია და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. საკონკურსო კომისიაში შედიან სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის დარგში. დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, იურისტი, ფსიქოლოგი, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის კათედრის თავმჯდომარე. კომისია აფასებს კონკურსანტ მასწავლებლებს N01-04/18 ბრძანების დანართით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, **წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტისა და გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. **წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაციური ხედვები. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასებისა და წახალისების სამართლიანი და ობიექტური სისტემა, რაც თავის მხრივ განაპირობებს სკოლის პერსონალის სათანადო მოტივაციასა და სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესებში მათ უფრო აქტიურ ჩართვას. სკოლა საკუთარი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფს ისეთი მატერიალურ-ტექნიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსების არსებობას როგორიცაა ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა, კეთილმოწყობილი სამუშაო ოთახები. სკოლაში შექმნილია აქტიურ კომუნიკაციასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გუნდური გარემო.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლას გაცნობიერებული აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მნიშვნელობა. ამისათვის სკოლა იყენებს ვებ გვერდს taoba.edu.ge და სოციალურ ქსელს https://www.facebook.com/skolataoba. **წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- მასწავლებელთა და თანამშრომელთა მიღების წესი;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**

სკოლის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებათა დადგენის მექანიზმები გაწერილია სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-8 მუხლის მიხედვით, შეფასება განიხილება როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის, შესაბამისად შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაციური ხედვები. შეფასება კი ორიენტირებულია სისტემურ ანალიზზე.

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, პერიოდულად მართავს შეხვედრებს სკოლის პერსონალთან (მასწავლებლებთან კათედრის ჭრილში, ასევე დირექციასთან და დამატებით პერსონალთან). აღნიშნულ შეხვედრებზე ხდება საჭიროებების გამოვლენა, მიმდინარე საქმიანობის ანალიზი და სამომავლო გეგმების განხილვა. პერსონალი ყოველი სემესტრის ბოლოს ავსებს სპეციალური თვითშეფასების ფორმას, რომელიც მოიცავს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშს და ანალიზს.

სკოლის ხარისხის ჯგუფი:

- ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან;
- ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას და შეფასებას;
- მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე;
- საჭიროების შემთხვევაში, ადგენს გაკვეთილებზე დასწრების განრიგს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს/სტრატეგიებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს;
- პროფესიული განვითარების მიზნით, რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;**

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის შეფასება ხდება შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით. გაკვეთილის შეფასების მიზნით, ხარისხის ჯგუფი მასწავლებლებს ესწრება სემესტრში მინიმუმ ერთჯერ.

ხარისხის ჯგუფი მასწავლებელს აკვირდება მის მიერ განსაზღვრული განრიგის შესაბამისად. გაკვეთილზე დაკვირვება შესაძლებელია განხორციელდეს პირდაპირი ფორმით - დასწრებით, ან დისტანციურად. ხარისხის ჯგუფი მასწავლებელთან ერთად განიხილავს გაკვეთილზე დაკვირვების შედეგებს და გონივრულ ვადაში აძლევს მას განმავითარებელ შეფასებას. ხარისხის ჯგუფი გარდა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა, ახორციელებს:

- მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შეფასებას;
- მასწავლებლის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების/სტრატეგიების შეფასებას და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს.

მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები. მათ შორის:

- თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება;
- სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება;
- მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას. სკოლას აქვს პროფესიული საჭიროების დადგენის მექანიზმები და გამოვლენილი საჭიროების საფუძველზე შემუშავებული გეგმა. ასევე მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა, მაძიებლობის პროგრამის ჭრილში. სკოლაში დასაქმებულია 3 მასწავლებლობის მაძიებელი.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა ორგანიზაციაში შემოსვლა (მუხლი 3), რაც თავის თავში აერთიანებს კადრების მოზიდვის, შერჩევის და ორგანიზაციაში სოციალიზაციის პროცესებს. 2022-2023 წლის სკოლის ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშო გეგმაში სექტემბრის თვეში ერთ-ერთი ჩასატარებელი აქტივობაა ახალ მასწავლებლებთან შეხვედრა და სკოლის პოლიტიკისა და კულტურის გაცნობა. სკოლის შინაგანაწესის მე-6 მუხლის მიხედვით, თანამშორმლის მიღებისას სკოლის ადმინისტრაცია:

- თანამშრომელს აცნობს სკოლის შინაგანაწესს;
- განუმარტავს ფუნქცია-მოვალეობებს;
- აცნობს უსაფრთხოების წესებს.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის შინაგანაწესის მე-14 მუხლის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, განსაკუთრებული სირთულის, ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვისა და სხვა სამსახურებრივი დამსახურებისთვის სკოლა დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს:

მადლობის გამოცხადება;

სიგელის გადაცემა;

ფასიანი საჩუქრის გადაცემა;

ფულადი პრემიის გაცემა.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 აგვისტოს N01-04/12 ბრძანებით დამტკიცებულია მასწავლებელთა საბონუსე სქემა, რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბონუსე სქემის ამოცანაა სკოლაში მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და წინსვლის ერთიანი/ნათელი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს საუკეთესო კადრების შენარჩუნებას, არსებული მასწავლებლების მოტივაციისა და სტატუსის ამაღლებას.
წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა;
- ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო გეგმა;
- ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში და სხდომის ოქმი.
- პერსონალის თვითშეფასების ფორმები, მასწავლებლების რეფლექსიები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ანგარიშები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**

სკოლაში შემუშავებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიული გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: მატერიალური რესურსის განვითარება, ადამიანური რესურსის განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, მშობლეთა ჩართულობის გაზრდა. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, სკოლის ხარისხის ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის და შეფასების, პერსონალის შეფასების და თვითშეფასების, გარემოში მომხდარი ცვლილებების (საკანონმდებლო, ტრქნოლოგიური და ა.შ.) საფუძველზე დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის დარგში და სკოლის დირექტორი შეიმუშავებენ ერთ წლიან სამოქმედო გეგმას, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. გეგმა მოიცავს სკოლის ფილოსოფიას, სასკოლო კურიკულუმის განვითარებას, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას და მოსწავლეთა უფლებების დაცვას. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის ხელშეწყობის ჯგუფი, რომელიც სკოლაში აღიქმება როგორც ყოველდღიური მიმდინარე პროცესი. ჯგუფი სკოლის პერსონალთან გაზიარებული პასუხისმგებლობით ადგენს პერსონალის განვითარების საჭიროებას და გამოვლენილი საჭიროების საფუძველზე ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე. ეს პროცესი ეფუძნება პრევენციაზე დაფუძნებულ დაგეგმვასა და შეფასებას. სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა მიზნების შესაბამისად. სკოლის პერსონალს და სტრუქტურულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთეულებს შორის ფუნქციები ისეა განაწილებული, რომ თითოეულის საქმიანობა არ ფარავს ერთმანეთს და ქმნის მთლიანობას. დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის დარგში, სასკოლო საზოგადოების სრული ჩრთულობით უზრუნველყოფს პროცესების ეფექტურ ორგანიზებას და მართვას. სკოლის განვითარების პროცესში ყველაზე მნიშვნელვანი მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება და მათი საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებაა. სკოლაში მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მკაფიო და გამჭვირვალე მექანიზმები. სკოლა ეხმარება მოსწავლეს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაში. მოსწავლე სკოლაში იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მხარეთა უკუკავშირის და თვითშეფასების საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. სკოლაში მხარდაჭერილია მოსწავლეთა არაფორმარული აქტივობა და ინიციატივები. სკოლაში ხორციელდება კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მომსახურბა (დამატებითი საგანი „ვირჩევთ პროფესიას). სსსმ მოსწავლეთა (არსებობის შემთხვევაში) მომსახურება ხორციელდება, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. კურიკულუმი შემუშავებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტების მოთხოვნებს. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება კონსტრუქტივიზმის პრინციპს და საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილს. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზებს/საშუალებას და ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ეფუძნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

სკოლის დირექტორის 20.03.2023 წ. №01-04/04 ბრძანებით დამტკიცებულია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები. დოკუმენტის მიხედვით სკოლა თაობაში პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა. ძირითადი პროცესებში შედის მოსწავლის კორპუსის მართვა, კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. დამხმარე პროცესებში შედის მოსწავლეთა სერვისების განხორციელება, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური რესურსის მართვა, ადამიანური რესურსის მართვა, ფინანსური რესურსის მართვა, საბიბლიოთეკო სერვისის განხორციელება. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას. სკოლა ფინანსურად მდგრადია და უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით და კურიკულუმით განსაზღვრული საჭიროებების შესრულებას. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება სკოლის მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელმისწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე. სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. ასევე, პერსონალურ მონაცემთა, სანიტარულ ჰიგიენური ნორმების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი. სკოლის ოფიციალურ გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია არის დროული და სანდო.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

სკოლაში თანამშრომელთა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის მიერ გასაჩივრების მექანიზმები გაწერილია სკოლის წესდებაში. (თავი IX მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა საჩივრის განხილვა.) სკოლის შინაგანაწესში (თავი XIV განცხადების/საჩივრის განხილვა). სკოლის დირექტორის 06.09.2022 წ. №01-04/18 ბრძანებით შექმნილია დისციპლინური კომიტეტის დებულება. 06.09.2022 წ. №01-04/18 ბრძანებით დამტკიცებულია მშობელთან ურთიერთობის დებულება. სკოლას აქვს შემუშავებული საჩივრის ფორმა, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია გასაჩივრების პროცესის ობიექტურობის, გამჭვირვალეობის და სამართლიანობის პრინციპების დაცვის პროცედურები. **წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვას მექანიზმები. (დამტკიცებულია 20.03.2023 წ. №01-04/04 ბრძანებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები). პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები განსაზღვრავს შპს "თაობა"-ს პერსონალური მონაცემის დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საშუალებებს. საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების საკითხებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არეგულირებს შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებიც შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელშიც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. **წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის წესდება;
- მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- პერსონალურ მონაცემტა დაცვის მექანიზმები;
- დისციპლინური კომიტეტის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- საჩივრის ფორმა;
- სკოლის ვებგვერდი: taoba.edu.ge

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობა განსაზღვრულია მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც გაწერილია ორმხრივი უფლება-მოვალეობები. სკოლას აქვს ქმედითი და მუდმივად განახლებადი ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის მისია, სკოლის წესდება, შინაგანაწესი, მშობლებთან ურთიერთობის დებულება, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ირკვევა, რომ სკოლაში პერიოდულად ტარდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, სადაც მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის ბოლოს მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების მიერ შევსებული სკოლის თვითშეფასების კითხვარის ანალიზი და შემუშავებული რეკომენდაციები.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. კანონმდებლობის შესაბამისად ფორმირებულია და ფუნქციონირებს მართვის კოლეგიალური ორგანოები: პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. აღნიშნული დასტურდება სამოქმედო გეგმაში ასახული შესასრულებელი საკითხების და პასუხისმგებელი პირების მრავალფეროვნებით და ინკლუზიურობით. ასევე, პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებით, სადაც ნათლად ჩანს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. სკოლამ წარმოადგინა მათი მუშაობის ამსახველი ოქმები.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მშობელთა, მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შემუშავებული რეკომენდაციები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა აღჭურვილია ვიდოეთვალთვალის სისტემით, რომლსაც უზრუნველყოფს სკოლის შიდა (31კამერა) და გარე (10 კამერა) პერიმეტრის ვიდეოკამერები. ვიდეოდაკვირვებაზე გამოყოფილია უსაფრთხოებასა და საოგადოებრივ წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ამვდროულად დირექტორის მოადგილეა სამეურვეო დარგში. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი დაცულია ასევე დაცვის დისტანციური სისტემით, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებს შესაბამისი აკრედიტირებული კომპანია შპს „ომეგა“, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით -„დაცვითი სიგნალიზაციის ცენტრალური სამეთვალყურეო პულტით მომსახურების შესახებ (20 ივნისი, 2023 წ.).

სკოლა აქვს დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება N01-04/11, 16.06.2023) საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შესათანხმებულად გადაგზავნილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციათა მართვის სააგენტოსთან (წერილი N01.06/6) შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი (ბრძანება N01-04/11, 16.06.2023) და განაწილებულია ფუნქციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას მიღებული აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა და მოწყობილობების აქტი). შენობაში არსებული ყველა სივრცე მისაწვდომია შშმ პირთათვის, მათი შენობაში შესვლა უზრუნველყოფილი იქნება ბაქან-ლიფტებით (სკოლამ წარმოადგინა შესყიდვის ხელშეკრულება), ხოლო სხვადასხვა ნიშნულებზე გადაადგილება განხორციელდება ლიფტის საშუალებით. შენობის ყველა სართულს ემსახურება ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე. შენობის სახურავი წარმოადგენს ხის ნივნივებზე დაყრდნობილ ქანობიან (11%) გადახურვას, რომელსაც გააჩნია წყალარინების ღარები და მილები. შენობის სიმაღლე შეადგენს ტროტუარის ნიშნულიდან 15,75 მ.-ს. ტექნიკური მდგომარეობა ქმნის სწავლისთვის უსაფრთხო გარემოს. შენობას გააჩნია სათანადო ინფრასტრუქტურა (მაღალი სტანდარტის გათბობის, ცივი-ცხელი წყლის მიწოდების, ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები) და მატერიალური რესურსი, რაც უზრუნველყოფს სკოლაში ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელებას.

სკოლას შემუშავებული აქვს და მოქმედებს სამედიცინო დახმარების, პირველადი დახმარების აღმოჩენის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმები.

კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. სკოლას აქვს ალტერნატიული დენის წყარო დიზელ-გენერატორის სახით, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში არსებული ძირითადი და დამხმარე სისტემების უწყეტ მუშაობას. სკოლას აქვს 3 სათადარიგო გასასვლელი. შენობას გავლილი აქვს ხაძარსაწინააღმდეგო სისტემების გამოცდა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციათა მართვის სააგენტოს MIA 1 23 01629931 წერილი) და მიღებული აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. წარმოდგენილი დასკვნის და ასევე ექსპერტების მიერ ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის თანახმად შენობაში:

- დამონტაჟებულია სამისამართო ტიპის სახანძრო სიგნალიზაცია, რომლის მუშაუნარიანობა აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. სახანძრო განგაშის დროს შენობის ლიფტი გადადის სახანძრო რეჟიმში, ეშვება პირველ ჩასაჯდომ სართულზე და რჩება ღია ბლოკირებულ მდგომარეობაში;
- მოწყობილია ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემები, მათ შორის ავარიული განათება და საევაკუაციო გზის მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები. ასევე მთლიან შენობაში დამონტაჟებულია საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა, რომელსაც შეუძლია პირდაპირი ხმოვანი შეტყობინების გადაცემა;
- მთლიან შენობაში მათ შორის სასწავლო კლასებში მოწყობილია ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემა - სპრინკლერები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის ფუნქციონირებისთვის შენობის მიწისქვეშა სართულზე მოწყობილია სახანძრო სატუმბო სადგური, რომელიც წყლით მარაგდება ამავე გარეთ მიწისქვეშ არსებული 18 ტონიანი წყლის რეზერვუარიდან. სართულების სახანძრო დგარზე მოწყობილია მანომეტრი, წყლის ნაკადის მაკონტროლებელი რელეები და დამცველი კვანძები
- დერეფნებში მოწყობილია მესამე კლასის სახანძრო მილდგარები;
- საევაკუაციო კიბის უჯრედებში და ლიფტის შახტებში მოწყობილია ჰაერის და წნევის სისტემა, ხოლო შენობის სართულების დერეფნებიდან მოწყობილია კვამლის გაწოვის სავენტილაციო სისტემა, ჰაერის კომპენსაციით.
- სისტემებისთვის მოწყობილია სათადარიგო ელ.კვების წყარო - დიზელ გენერატორის სახით.
- სკოლას ჰყავს ექთანი, სკოლაში შემუშავებულია და მოქმედებს სამედიცინო დახმარების და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ წარმოადგინა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ სააგენტოს დასკვნა N 004114223, რითაც დასტურდება რომ შენობა აკმაყოფილებს კონსტრუქციულ პროექტს. ასევე აკმაყოფილებს კონსტრუქციული სიმტკიცის, მდგრადობის, საიმედოობისა და სესმომედეგობის პირობებს და ეძლევა რეკომენდაცია ის გადაეცეს ხანგრძლივ უსაფრთხო ექსპლუატაციაში. ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობის შესასვლელში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, სამინისტროს ნომერი; უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის ნომერი. ი**ნდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლაში შექმნილია უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან (წერილი 15.05.2023 წ. № MES 8230000537382) **და** დამტკიცებულია შპს თაობის დირექტორის 16.06.2023 წ. №01-04/11 ბრძანებით. უსაფრთხოებიდან გამომდინარე სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, რათა დროულად მოახდინოს იმ მოსწავლის იდენტიფიცირება და საფუძვლის დადგენა, რომელიც სკოლაში არ იმყოფება. აღნიშნულს ახორციელებენ კლასის დამრიგებლები და დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, რომელიც გამოვლენილ შემთხვევებს აღრიცხავს exel-ის ფორმაში. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ასევე სადამრიგებლო პროგრამების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დანერგილია პოზიტიური დისციპლინირების პოლიტიკა, რაც გულისხმობს ურთიერთობების აღდგენითი მიდგომით რეგულირებას, რასაც უზრუნველყოფენ მასწავლებლები, დამრიგებლები და სკოლის ფსიქოლოგი. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების თანახმად, მარეგულირებელი დოკუმენტების, ასევე ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართულ პირთა მშვიდობიანი თანაარსებობა, სკოლაში მინიმუმადეა დაყვანილი უცხო პირების სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება. წესრიგის დაცვის მონიტორინგს აწარმოებს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ანგარიშს აბარებს დირექტორის მოადგილეს.

გასული სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარდა და კვლავაც იგეგმება ძალადობის, ბულინგისა და კიბერბულინგის საპრევენციო კაპმანიები. შეხვედრების ძირითად მიზანს წარმოადგენდა, მოსწავლეთა ინფორმირებულობის დონის დადგენა ბულინგისა და ძალადობის შესახებ და ასევე მათი დამოკიდებულების გამოვლენა ამ საკითხთან დაკავშირებით.შეხვედრები იყო ძირითადად ინფორმაციული, დისკუსიისა და კითხვა პასუხის რეჟიმის სახით.

ჩატარდა ინტეგრირებული პროექტი ქართული ენისა და ლიტერატურის და სამოქალო განათლების მასწავლებლების მიერ, რომელიც იყო მიმართული ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისკენ.

სამოქალაქო განათლების ფარგლებში ჩატარდა ღია გაკვეთილების სერია, რომელიც შეეხებოდა ბულინგსა და კიბერბულინგს, უსაფრთხო სკოლის პრინციპებს, მავნე ჩვევებისა და ადიქციის გამოწვევებს, ბავშვთა უფლებებს.

სკოლას სადამრიგებლო პროგრამა მოიაზრებს ბავშვისათვის, ძალადობის, ბულინგისა და კიპერბულინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და ცნობადობის ამაღლებას. ასევე დაგეგმილია სასწავლო წლის განმავლობაში, სულ მცირე ერთხელ, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში;
- შვილთან ეფექტური კომუნიკაცია;
- ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
- ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
- ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
- ჯანსაღი ცხოვრების წესი;

ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს, რომ სკოლაში იყოს პოზიტიური გარემო, სადაც დაცულია მოსწავლეთა და სკოლის საზოგადოების უფლებები, უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოება და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო.

შშმ პირებისთვის სკოლას შენობის შესასვლელად დაგეგმილი აქვს ელექტრო შშმ პლატფორმის დამონტაჟება, რომლის შესაძენად შპს ელთ -ბილდიგთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ნასყიდობისა და ტექნიკური - მომსახურების შესახებ (N20/06/2023-01).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პოზიტიური სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად, სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ და ემოციურ მხარდაჭერაზე. სკოლის ფსიქოლოგთან გასაუბრებით დადგინდა, რომ იგი ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას, საჭიროებების დადგენას და მოსწავლისათვის დროული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდებას. იგი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს და აკონტროლებს სკოლის წინაშე არსებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას.

სასწავლო წლის დაწყებამდე, ფსიქოლოგი ხვდება პირველკლასელებს და მათ მშობლებს/მეურვეს, იღებს მათგან საჭირო ინფორმაციას და გასცემს რეკომენდაციებს სასკოლო მზაობასთან დაკავშირებით. მას აქვს მუდმივი კომუნიკაცია კლასის დამრიგებლებთან/მასწავლებლებთან მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და ქცევითი კომპონენტების შესახებ. საჭიროებისამებრ ესწრება გაკვეთილებს და აკვირდება კლასში მიმდინარე სასწავლო პროცესს, მოსწავლეთა ქცევის კომპონენტებს, ასევე მასწავლებელთა მუშაობის პროცესს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავს არატიპური ქცევის მქონე მოსწავლეები. დამრიგებელთან/მასწავლებელთან ერთად ახდენს მათი რთული ქცევის იდენტიფიცირებას, ანალიზს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. აქვს მუდმივი კომუნიკაცია იმ მოსწავლეთა მშობლებთან/მეურვესთან, რომლებიც საჭიროებენ ფსიქოლოგთან მუშაობას. სკოლაში შემუშავებულია მასწავლებელების, მშობლების და მოსწავლეების კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც სკოლა იღებს ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების საჭიროებების დასადგენად.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, მათ შორი სკოლის ფსიქოლოგის პორტფოლიოში განთავსებული დოკუმენტაციით დგინდება, რომ იგი სასწავლო წლის განმავლობაში, მინიმუმ ორჯერ ატარებს გამოკითხვას სკოლის თვითშეფასების კითხვარების გამოყენებით, ახდენს მათ ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელსაც შემდგომ განიხილავს სკოლის დირექციასთან. იგი პერმანენტულად ხვდება სკოლის თანამშრომლებს, რათა სკოლის თითოეულმა თანამშრომელმა და განსაკუთრებით მასწავლებლებმა გამოიმუშავონ ისეთი უნარები, რომ შეძლონ ძალადობის ნიშნების ამოცნობა, ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენცია, ძალადობის შემთხვევათა გამოვლენა და სათანადო რეაგირება. იმისათვის, რომ არ მოხდეს ამა თუ იმ მოსწავლის გარიყვა/დისკრიმინაცია, სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა თვითგამოხატვა, რაც ნათლად ჩანს მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილებზე ღიად პრობლემებსა და გამოწვევებზე საუბარით, ასევე მიღწევების გაზიარებთ. ყოველივე ზემოთქმული დასტურდება ფსიქოლოგის პორტფოლიოს შესწავლით. სკოლაში ფსიქოლოგიური დახმარება შეუძლიათ მიიღონ არა მხოლოდ მოსწავლეებმა, არამედ მოსწავლეების კანონიერმა წარმომადგენლებმა და სკოლის თანამშრომლებმა. ფსიქოლოგიური დახმარების ფარგლებში ფსიქოლოგი მოსწავლეს, სკოლის დირექციის წარმომადგენელსა და მასწავლებელს უწევს კონსულტაციას პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებთან დაკავშირებით, ამასთან იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია პრობლემის გადაჭრის მიზნით ფსიქოლოგიური მომსახურების მიღება, უწევს კონსულტაციას ფსიქოლოგიური მომსახურების მიღების გზებთან დაკავშირებით და უხსნის აღნიშნული სერვისის მნიშვნელობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლა ახლადაშენებულია და ვიზიტის პერიოდში მასში სრულად იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლის შესასვლელში განთავსებულია სამი ურნა სხვადასხვა ტიპის ნარჩენებისთვის. საშტატო განრიგიით განსაზღვრულია 5 დამლაგებლის შტატი, შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია (06.09.2022 წ. №01-04/18) დამლაგებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია, სადაც გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები. დოკუმენტის თანახმად სკოლის დამლაგებლებს ევალებათ: უზრუნველყონ სკოლის შენობის, დერეფნების, საკლასო ოთახების, შენობის სველი წერტილების და სასწავლო ინვენტარის სისუფთავის დაცვა. პერიოდულად განახორციელონ სკოლის შენობის, დერეფნების, საკლასო ოთახების, შენობის სველი წერტილებისა და სასწავლო ინვენტარის სადეზინფექციო საშუალებით დასუფთავება. გააკონტროლონ შენობის შიგნით ელექტროენერგიის გამოყენების საჭიროება, რათა არ მოხდეს ენერგიის ხარჯვა არამიზნობრივად და თავიდან იქნას აცილებული რისკის ფაქტორი. დამლაგებლების სამუშაო დრო განსაზღვრულია დილის 08:30 საათიდან საღამოს 17 საათამდე შესვენების ჩათვლით. სკოლის ექთანი, თანამდებობრივი ინსტრუქციის თანახმად, რომელიც დამტკიცებულია შპს თაობის დირექტორის ბრძანებით 06.09.2022 წ. №01-04/18, ხელმძღვანელობს სკოლის სამედიცინო, ჰიგიენურ-სანიტარული პროცესის დაცვას. აკონტროლებს კლასების, დერეფნების, ბუფეტის, სველი წერტილების სისუფთავეს და ყოველდღიურ ინფორმაციას აწვდის სკოლის დირექციას, მას ასევე ევალება წინადადებების შემუშავება სკოლის თანამშრომლების მიერ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და გამოსწორების უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმებით (ბრძანება N01-04/04, 20.03.2023) სკოლაში დაცულია როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, დირექციის და დამხმარე პერსონალის პერსონალური ინფორმაცია. დიკუმენტში დეტალურად არის გაწერილი მონაცემთა დამუშავების პრინციპები (სამართლიანობა და კანონიერება, მიზნობრიობა, პროპორციულობა და ადეკვატურობა, სიზუსტე, ვადის დაცვა), ასევე მონაცემთა დამუშავების საფუძვლები. სკოლის დირექტორის ბრძანებით და სკოლის საქმისმწარმოებლის ხელშეკრულების შესწავლით დადგინდა, რომ იგი სხვა საკითხებთან ერთად ვალდებულია უზრუნველყოს სამსახურეობრივი მოვალეობის შედეგად მიღებული მოსწავლეების და თანამშრომელთა პერსონალური ინფორმაციის დაცვა. საქმის წარმოება მიმდინარეობს საქმეთა ნომენკლატურის მიხედვით. სკოლა აწარმოებს შემოსული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალებში, რომლებიც დანომრილი, ზონარგაყრილი და ბეჭედით დამოწმებულია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

დოკუმენტის - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები" თანახმად **მონაცემთა დამმუშავებელი** ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. **მონაცემთა დამმუშავებელი** ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

ყოველივე ზემოთქმული ასახულია სკოლის პერსონალის ხელშეკრულებებშიც, რომელთა შესწავლით დგინდება რომ მათ აქვთ ვალდებულება დაიცვან და არ გაამჟღავნონ სხვისი პერსონალური მონაცემები, რომელიც ცნობილი გახდა მათთვის პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას. სკოლის დირექცია, უფლებამოსილი პირი, მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელი პერი, ასევე ფსიქოლოგი მუდმივად აკვირდებიან სკოლაში მიმდინარე პროცესებს. სკოლა ასევე იყენებს კითხვარებს უსაფრთხოების მექანიზმების შესაფასებლად. გასულ სასწავლო წელს ასეთი გამოკითხვა ჩატარდა 2-ჯერ და კითხვარების ანალიზით დადგინდა - გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობის მოსაზრებით, მათი შვილები დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, ხოლო მოსწავლეთა უმრავლესობის მოსაზრებით სკოლა ყველა პირობას ქმნის, რომ მათ თავი, როგორც ფიზიკურად ასევე ფსიქოლოგიურად უსაფრთხოდ იგრძნონ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს კონკრეტულ აქტივობებს. მაგ გასულ სასწავლო წელს, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით სკოლამ, მასწავლებლებთან შეთანხმებით შეიმუშავა და განახორციელა სხვადასხვა პროექტი. მათ შორის სამოქალაქო განათლების ფარგლებში ჩატარდა ღია გაკვეთილების სერია სხვადასხვა კლასის ჩართულობით, რომელიც შეეხებოდა, კიბერბულინგის თემას, უსაფრთხო სკოლის პრინციპებს, ბავშვთა უფლებებს და მავნე ჩვევებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დებულება;
- დამრიგებლის დებულება;
- წესდება;
- საგანგებო მართვის გეგმა;
- დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- სკოლის ექთანის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- სკოლის ფსიქოლოგის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- მშობელთა, მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შემდგომი რეკომენდაციები;
- სკოლის ფსიქოლოგის სემესტრული რეფლექცია;
- დამლაგებლის ინსტრუქცია;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- IT მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- სკოლა თაობის ინფორმაციული ტექნოლოგიების აღწერა

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1 სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სკოლის ახალი შენობა განთავსებულია ქ. ბათუმში, რურუას ქ. N 10. რეესტრის ამონაწერისა და აზომვითი ნახაზების თანახმად N 05.25.11.406 მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია - 05.25.11.406 ნაკვეთის ფართობი შეადგენს 991.00 კვ.მ.-ს. შენობა ოთხ სართულიანია (ოთხი სართული მიწის დონის ზემოთ, ერთი სართული მიწის დონის ქვემოთ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-I სართულზე განთავსებულია:

- ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორია;
- ფიზიკის ლაბორატორია;
- სასერვერო ოთახი;
- სახანძრო სისტემის სატუმბი მოწყობილობების ოთახი;
- ელექტრო სისტემის მართვის პანელის ოთახი;
- ინფორმატიკის კაბინეტი;
- საკონფერენციო დარბაზი;
- სპორტ-ოთახი;

I სართული:

- ექთანის ოთახი;
- ადაპტირებული სველი წერტილი;
- 2 სველი წერტილი (გოგო-ბიჭის)
- ფსიქოლოგისა და რესუსრს ოთახი;
- ბიბლიოთეკა;
- 5 საკლასო ოთახი;
- ლიფტი;

II სართული:

- სამასასწავლებლო;
- ხარისხის მართვისა და იურისტის კაბინეტი;
- დირექტორის კაბინეტი;
- 5 საკლასო ოთახი
- 3 სველი წერტილი (გოგო, ბიჭი, მასწავლებელი);

III სართული:

- 8 საკლასო ოთახი;
- 3 სველი წერტილი (გოგო, ბიჭი, მასწავლებელი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV სართული:

- კაფეტერია
- 6 საკლასო ოთახი

სპორტულ დარბაზთან ერთად, რომელშიც განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდა, შვედური კედელი, სხვადასხვა სპორტული რესურსი და ახლავს გასახდელები გოგონებისა და ბიჭებისთვის, სკოლას აქვს ასევე დიდი სპორტული მოედანი, რომელზეც დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე და ფეხბურთის 2 კარი.

სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია 2609 ერთეული საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული წიგნადი ფონდი, რომელიც აღრიცხულია კატალოგში., მათ შორისაა ყველა გრიფირებული სახლმძღვანელო, ასევე დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკაში მოქმედებს მკითხველის ბარათები, ჩატარებულია ინვენტარიზაცია.

პირველ სართულზე განთავსებული სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია კანონმდებლობით (ბრძანება 41/ნ) განსაზღვრული ყველა რესურსით. ფსიქოლოგის ოთახი ასრულებს ასევე რესურს ოთახის ფუნქციასაც და მასში განთავსებულია სხვადასხვა შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი. სკოლის დირექციის ოთახებში და სამასწავლებლოში განთავსებულია მაგიდები და სკამები, კარადები, ლეპტოპები, შავთეთრი და ფერადი პრინტერები.

ტექნოლოგიების კაბინეტში განთავსებულია 12 პერსონალური კომპიუტერი და 4 ლეპტოპი. ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ონკანი და ვიზიტის პერიოდში მონტაჟდებოდა გამწოვი. ლაბორატორიის რესურსი დაცულია საკეტიან კარადებში.

სკოლის ახალ შენობა, სრულად აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს და აღჭურვილია ყველა სათანადო რესურსით, კერძოდ: 24 საკლასო ოთახში განთავსებულია ინდივიდუალური, თანამედროვე დიზაინის 400 სასკოლო მერხი და სკამი {ასაკობრივი თავისებურებების (ზომის) გათვალისწინებით}, პირადი სერვერი და Wifi-ის თანამედროვე სისტემა, I-5-ის მე-10 თაობის პროცესორებით აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკა (პერსონალური კომპიუტერები და ლეპტოპები: 15 პერსონალური კომპიუტერი, 9 ლეპტოპი. 9 პროექტორი, მათ შორის 7 დამონტაჟებულია კლასებში და 2 პორტაბელური).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ვიზიტის პერიოდში ელოდებოდა პასუხს მერიიდან შენობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა (3.4.1.1.) სკოლას წარმოდგენილი აქვს სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ სააგენტოს დასკვნა N 004114223, რითაც დასტურდება რომ შენობა აკმაყოფილებს კონსტრუქციულ პროექტს. ასევე აკმაყოფილებს კონსტრუქციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სიმტკიცის, მდგრადობის, საიმედოობისა და სესმომედეგობის პირობებს და ეძლევა რეკომენდაცია ის გადაეცეს ხანგრძლივ უსაფრთხო ექსპლუატაციაში. ასევე შენობას გავლილი აქვს ხაძარსაწინააღმდეგო სისტემების გამოცდა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციათა მართვის სააგენტოს MIA 1 23 01629931 წერილი) და მიღებული აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის გარემო სრულად უზრუნველყოფს სკოლაში არსებული მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლას აქვს დირექტორის მიერ დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებულია შპს თაობის დირექტორის მიერ 09.06.2023 წ. №01-04/10 ბრძანებით. წესში გაწერილია ძირითადი პრინციპები (ხელმისაწვდომობა, თანასწორუფლებიანობა), ასევე ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, ინფორმატიკის კაბინეტით და სპორტული ოთახით სარგებლობის წესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

სკოლის შენობას აქვს თანამედროვე სტანდარტის ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს კომფორტულ და სხვადასხვა გადაუდებელი საჭიროებებისთვის გათვალისწინებულ გადაადგილებას. პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი და როგორც უკვე აღინიშნა (3.4.1.1.) შშმ პირების შენობაში შესვლა უზრუნველყოფილი იქნება ბაქან-ლიფტებით (სკოლამ წარმოადგინა შესყიდვის ხელშეკრულება). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;**

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა **ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის შენობა, დიდი სპორტული მოედანი, კეთილმოწყობილი ეზო** ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლას აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზი, რომელიც იძლევა, სხვადასხვა შემეცნებითი თუ სოციო-კულტურული აქტივობის, განხორიცლების შესაძლებლობას. სკოლაში არსებული სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით/ინვენტარით, სადაც მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ აქვთ დარჩენის, შეკრების, საუბრის შესაძლებლობა. სკოლას აქვს დახურული სპორტოთახი აღჭურვილი სხვადსხვა სახალისო და შემეცნებითი განვითარებისთვის საჭირო ინვეტარით. სკოლა აქვს საკუთარი სასერვერო მოწყობილობები, Wi-fi სისტემა, რომელიც ფარავს მთლიან შენობას, მაღალი სიჩქარის 40მგბ/წ ინტრნეტი და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სასკოლო ბიბლიოთეკაში განთავსებული რესურსი (მათ შორის ელექტრონული რესურსი, სხვადასხვა თვალსაჩინოება: რუკები, პლაკატები) და სკოლის ინფრასტრუქტურა, სხვადასხვა სივრცეში განთავსებული რესურსი, ლაბორატორიები უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები)

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის სქემა;
- მატერიალური რესურსის ინვენტარიზაცია;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი;
- საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი;
- სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ სააგენტოს დასკვნა N 004114223, რითაც დასტურდება რომ შენობა აკმაყოფილებს კონსტრუქციულ პროექტს. ასევე აკმაყოფილებს კონსტრუქციული სიმტკიცის, მდგრადობის, საიმედოობისა და სესმომედეგობის პირობებს და ეძლევა რეკომენდაცია ის გადაეცეს ხანგრძლივ უსაფრთხო ექსპლუატაციაში.
- დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ქსელური და ციფრული ტექნოლოგიებით, კერძოდ:

- 46 ცალი HD გამოსახულებიანი კამერით. (10 გარე პერიმეტრი, 36 შიდა).
- სკოლის შიდა პერიმეტრში განთავსებულია 21 ერთეული Wi-fi მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მთელ პერიმეტრზე მაღალი ხარისხის ინტერნეტთან უწყვეტ წვდომას.

ტექნოლოგიური მოწყობილობების გამართულად და ეფექტურად მუშაობისთვის სკოლაში გამოყოფილია სასერვერო ოთახი, რომელიც აღჭურვილია სპეციალური დანარდგარებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 4 ცალი 26 პორტიანი გამანაწილებელი (რომლებიც უზრუნველყოფენს Wi-fi და ვიდეოკამარების ქსელთან კავშირს);
- სკოლაში განთავსებული ქსელური ვიდეოკამერების მონაცემების ჩამწერი, ე.წ NVR;
- 4 ცალი 8 ტერაბაიტიანი (ჯამში 32 ტერაბაიტიანი) მყარი დისკი, რომელიც იძლევა საშუალებას 46-ვე ვიდეოკამერის მონაცემების შენახვას 10-12 დღემდე ვადით;
- უწყვეტი კვების წყარო აკუმულატორით, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის უწყვეტ მუშაობას, მაშინ როდესაც სისტემას არ მიეწოდება დენი;
- ყოველივე ეს მოწყობილობა განთავსებულია სპეციალიზირებულ მეტალის კარადაში;

ზემოჩამოთვლილი მოწყობილობები და ერთიანი სისტემა თავისი პროგრამული უზრუნველყოფით შესაძლებლობას აძლევს სკოლას

- უზრუნველყოს 24 საათიანი მაღალი ხარისხის გამოსახულების (HD) ვიდეო მონიტორინგი (პარალელურად ქსელური სისტემის მეშვეობით ვიდეოკამერებზე წვდომა აქვს დაცვის კომპანიას, რომელთანაც თანამშრომლობს სკოლა).
- მართოს სკოლაში მომხმარებლების ინტერნეტთან წვდომა, ე.წ. ვაუჩერული სისტემით, რომლის მეშვეობით, მაგალითად მოსწავლეებზე გაიცემა ერთჯერადი კოდები, რომლებიც აქტიურია გარკვეული დროის განმავლობაში. სისტემა იძლევა საშუალებას შეიზღუდოს მოსწავლეების ინტერნეტთან წვდომის დრო (არამიზნობრივი გამოყენებისგან თავის ასაცილებლად) შეიზღუდოს „აკრძალულ“ ვებ-გვერდებთან წვდომა, როგორებიცაა აზარტული თამაშების, პორნოგრაფიული კონტენტის შემცველი ვებ-გვერდები და ა.შ.
- Firewall-ის მეშვეობით მარშრუტიზატორში დაიცვას პერსონალური ინფორმაცია, რადგან შეზღუდულია გარეშე პირთა სისტემაში შემოსვლის გზები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქსელში გათვალისწინებულია განვითარების მაღალი რესურსი, რომ შესაძლებელი გახდეს მომავალში ახალი ტექნოლოგიების მარტივი ინტეგრაცია და სრული თავსებადობა.

სკოლა აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით (15 ერთეული i5 პროცესორის მქონე პერსონალური კომპიუტერი, ასევე 9 ცალი ლეპტოპი, ჯამში 24 ერთეული), რომლებიც პროგრამულად გამართულია და უზრუნველყფოს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას, სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის (400) შესაბამისად. ტექნოლოგიების კაბინეტში განთავსებულია 12 პერსონალური კომპიუტერი და 4 ლეპტოპი, ხოლო დანარჩენი განთავსებულია დირექციის კაბინეტებში. სკოლას აქვს ასევე 7 ცალი კლასში ფიქსირებული HD პროექტორი და 2 პორტაბელური პროექტორი, ჯამში 9 ერთეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექციასთან გასაუბრების და სამოქმედო გეგმის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ერთ-ერთი ამოცანას წარმოადგენს ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში. აღნიშნული არ გულისხმობს მხოლოდ კომპიუტერული ტექნიკის განახლებას ან პროგრამული უზრუნველყოფის და ახალი ელექტრონული რესურსების დანერგვას, აქ იგულისხმება როგორც ფიზიკური ცვლილებები, ასევე ახალი მიდგომების დანერგვა. მიდგომები, რომლებიც პასუხობს როგორც სწავლა-სწავლების, ასევე სკოლაში არსებულ სხვა ორგანიზაციული პროცესების მართვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, ხელს უწყობს სკოლაში ერთიანი ციფრული სისტემის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების აღწერის დოკუმენტი და ციფრული განვითარების გეგმა. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლა არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპიუტერული ტექნიკის განახლებაზე ან პროგრამული უზრუნველყოფის და ახალი ელექტრონული რესურსების დანერგვაზე, არამედ გეგმავს ისეთი მიდგომების დანერგვასაც, რომლებიც პასუხობს როგორც სწავლა-სწავლების, ასევე სკოლაში არსებულ სხვა ორგანიზაციული პროცესების მართვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და ხელს უწყობს სკოლაში ერთიანი ციფრული სისტემის ჩამოყალიბებას.
დირექტორის მოადგილის ხარისხის უზრუნველყოფის დარგში, ასევე სკოლის IT მენეჯერის მოვალეობებია შეაფასონ როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, ისე პროცესების ეფექტიანობა და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინონ გაუმჯობესების საჭიროებების იდენტიფიცირება, რომლის შესახებაც აცნობებენ სკოლის დირექტორს. აღნიშნული აისახება სკოლის სამოქმედო გეგმაში ასევე სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

სკოლაში უზრუნველყოფილა კომპიუტერების და შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობა როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლა არეგულირებს ტექნიკით სარგებლობის პროცესს ორი მიზნით: გამოყენების მიზნობრიობა და ყველას მიერ თანაბარი ხელმისაწვდომობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

- სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ინტერნეტით უზრუნველყოფის ამსახველი დოკუმენტი (ხელშეკრულება ინტერნეტ პროვაიდერთან);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო სივრცეში ინტერნეტით უზრუნველყოფის მტკიცებულება (სასაქონლო ზედნადები);
- ინფორმაციული ტექნოლოგიების აღწერის დოკუმენტი;
- ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

სკოლის საქმისმწარმოებელი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს დამტკიცებული საქმის წარმოების წესით, "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, სკოლის წესდებით, დირექტორის გამოცემული ბრძანებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. საქმისმწარმოებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორი. იგი აწარმოებს და ინახავს სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეებს; ინახავს და აკონტროლებს სკოლის მოსწავლეთა პირად საქმეებს და დაბადების მოწმობებს; უზრუნველყოფს შემოსული და გასული კოორესპოდენციის მიღებას, დამუშავებას და ადრესატამდე მიწოდებას; უზრუნველყოფს თათბირზე თანამშრომელთა მოწვევასა და ინფორმაციის გაცემას; აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას; იღებს და რეგისტრაციაში ატარებს დაინტერესებული პირის განცხადებას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად და გადასცემს დირექტორს შესაბამისი რეაგირებისათვის; უზრუნველყოფს ნებისმიერი საჯარო ინფორმაციის გაცემას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა: ადმინისტრაციული ბრძანებები წიგნი 01-04; მოსწავლეთა ბრძანებების რეგისტრაციის წიგნი 01-03 და მასწავლებელთა ბრაძანებების რეგისტრაციის წიგნი 01-02. წიგნები დანომრილი, ზონარგაყრილი და დალუქულია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა schooltaoba@gmail.comსადაც ხდება რიგი ინფორმაციისა და დოკუმენტის მიიღებასკოლა ასევე იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: Google, office 365 და სხვა პლატფორმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სკოლა სრულყოფილად ასახავს ყველა ინფორმაციას Eschool-ში, ასევე მოწესრიგებული და ბაინდრებში დანომრილია პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები, ასევე კანონის შესაბამისად ინახება შემოსული განცხადებები თუ სხვა კორესპონდენციები, ხდება მათზე დრული პასუხის გაცემა.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

როგორც საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით და ასევე რიგი დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, სკოლა შემოსული კორესპონდენციის (როგორც ელექტრონულ ფოსტაზე, ისე ხელზე) საფუძველზე, დროულად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს (განათლების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციოს სისტემა, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და სხვა). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

- წესდება (მუხლი 10 საქმისმწარმოებლის ფუნქციები);
- ადმინისტრაციული ბრძანებები წიგნი 01-04;
- მოსწავლეთა ბრძანებების რეგისტრაციის წიგნი 01-03;
- მასწავლებელთა ბრაძანებების რეგისტრაციის წიგნი 01-02;
- ადმინისტრაციის პირადი საქმეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.6.3 სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ვებ გვერდი **taoba.edu.ge.** და სოციალური ქსელის გვერდი, ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებ გვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, რაც იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს ელექტრონული ჟურნალიც.

სკოლას ჰყავს პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქციით. მენეჯერი მართავს სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოციალურ გვერდებს, ასახავს და შესაბამის პლატფორმებზე განაათავსებს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებებს, აქტივობებს და პროექტებს. იმისათვის, რომ მოხდეს ვებ გვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე მარტივი ნავიგაცია, ამისათვის ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლის პიარ მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია ვებგვერდის მართვაზე უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით და ასევე ხარისხის მენეჯერის ანგარიშებით ირკვევა, რომ სკოლის საკომუნიკაციო არხებიდან, მათ შორის ოფიციალური სოციალური ქსელიდან, შემოსულ ინფორმაციაზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები, მათი სანდოობის ხარისხის განთვალსწინებით, მხედველობაშია მიღებული სკოლის საქმიანობის შეფასების/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

სკოლას აქვს მოქმედი ოფიციალური ვებ გვერდზე (https://taoba.edu.ge/) როგორც ქართული, ასევე ინგლისური ველები, თუმცა სრული ინფორმაცია განთავსებულია მხოლოდ ქართულ ენაზე. აქვე უნდა აღინისნოს, რომ სკოლა ინგლისურენოვან პროგრამას არ ახორციელებს. სკოლას აქვს ასევე ოფიციალური სოციალური არხი ფეისბუქზე (Facebook). ორივე გვერდზე სისტემატურად ხდება აქტივობების, პროექტების, მიღწევების და ა. შ. შესახებ ინფორმაციის განთავსება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

ვებგვერდის გაცნობის შედეგად, დადგინდა, რომ სკოლის მასზე განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: სკოლის მისია და მიზანი, მასწავლებლის ეთიკის კოდექსი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, სკოლის შინაგანაწესი, სკოლის წესდება, მშობელთან ურთიერთობის დებულება, დისციპლინური კომიტეტის დებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, პერსონალის მართვის პოლიტიკა, საკონტაქტო ინფორმაცია. მუდმივად ხდება სიახლეების დამატება, სკოლის ვებ გვერდზე შესაძლებელია გასაჩივრების ელექტრონული ფორმით შევსება. ვებ გვერდზე ჩაშენებულია ჩატ ბოტის ფუნქცია, რომლის მეშვეობით დაინტერესებულ პირები ღებულობენ ავტომატიზირებულ, მყისიერ პასუხებს ხშირად დასმულ შეკითხვებზე. აღნიშნული ბოტი უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის რაციონალურად გამოყენებას და მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება ჩატში ადამიანის ჩართვა (ბოტი აგზავნის შეტყობინებას ფეისბუქ გვერდის ადმინთან), როდესაც ბოტი ვერ პასუხობს დაინტერესებული პირის რაიმე კითხვას. იმისათვის რომ დაინტერესებულმა პირმა მარტივად მოახდინოს პოვნა საძიებო ველში, სოციალური ქსელის გვერდს ჰქვია სკოლის სახელი. სოციალური ქსელის გვერდზე არის შემდეგი სახის ინფორმაცია: სკოლის სრული მისამართი (სკოლა აღნიშნულია გუგლის რუკაზეც), საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ.ფოსტა), სკოლის ვებ გვერდის ლინკი, ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ. სოციალურ ქსელის გვერდზე, სკოლა უწყვეტ რეჟიმში აახლებს ინფორმაციას მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების/სიახლეების შესახებ.

ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილია ვებგვერდის განახლება და რამდენადაც სკოლის ვებგვერდზე არ არის ატვირთული სკოლის ხედვა, **პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, სკოლას მიეცა რჩევა, ვებგვერდის განახლების პროცესში გაითვალისწინოს და შესაბამისად ასახოს ეს ინფორმაცია. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ინსტრუქცია;
- სკოლის ვებ გვერდი (https://taoba.edu.ge/);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი https://www.facebook.com/skolataoba

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7 ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**

სკოლამ წარმოადგინა საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებული ფინანსები მიზნობრივად ნაწილდება სახელფასო და საჭირო საგანმათლებლო რესურსებზე. ბიუჯეტში გათვალისწინებულია დასაქმებულთა რაოდენობა, საპროგნოზო შემოსავლები, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს ვაუჩერულ დაფინანსებას (300 ლ მოსწავლეზე), სწავლის საფასურის გადასახადს, საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია ასევე საპროგნოზო ხარჯები, რაც მოიცავს ხელფასის ხარჯს, კომუნალურ გადასახედებს, საკანცელარიო საქონელს, ჰიგიენისა და დეზინფექციის საშუალებებს, სარეკლამო და პროექტების ხარჯებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და სხვადასხვა გაუთვალისწინებელ ხარჯს.

სკოლის ფინანსურ მდგრადობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სკოლას არ აქვს ფინანსური ვალდებულებები ბანკებთან, საკრედიტო დაწესებულებებთან, კონტრაქტორებთან. არ აქვს საბიუჯეტო და სახელფასო დავალიანება სკოლის თანამშრომლებთან. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა განთავსდება ახალ შენობაში, რაც იძლევა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღსანიშნავია, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან იზრდება სწავლის საფასური (25%-ით), რაზეც სასკოლო საზოგადოება წინასწარ არის ინფორმირებული. გაზრდილი მოსწავლეთა კონტიგენტი და სწავლის საფასური აძლევს სკოლას შემოსავლების ზრდის პროგნოზის საფუძველს.

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

ყოველი სასწავლო წლის დასრულებისას სკოლის დირექტორი და ბუღალტერი ახდენენ ფინანსური შედეგების შეჯამებას, როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების ანალიზის საფუძველზე (როგორც ასახულია საპროგნოზო ბიუჯეტში).

მომდევნო წლის სავარაუდო შემოსავლების გათვალისწინებით და სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე დგინდება მომდევნო წლის საპროგნოზო ხარჯები.

სასწავლო პროცესში ხდება სამოქმედო გეგმის განხორციელება, რომლის ჭრილში ბუღალტერი აკონტროლებს საპროგნოზო ხარჯების მიმდინარეობის შესრულებას და ყოველთვიურად წარუდგენს დირექტორს ინფორმაციას ხარჯების შესრულების შესახებ, რომელზე დაყრდნობითაც დირექტორი განიხილავს საპროგნოზო ხარჯებში ცვლილებების შეტანის საჭიროებებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საპროგნოზო ბიუჯეტი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

25.08.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: